ხუთშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 31 № 207

წელიწადი მეოთხე

ხუთშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 31 № 207

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

## უკანასკნელი ცნობები

კონდის ჩრდილოეთით მოკავშირენი სასტიკ იერიშებს განაგრძობენ.

ფამართან ინგლისელთა იერიშები არ შეწყვეტილა.

მოკავშირენი ვალენსიენს უშენენ.

იერსა და მაასის შუა საარტილერიო ბრძოლა მკაცრდება.

ალბანეთში ავსტრიელებმა ალესიო დასცალეს.

სერბიაში მოკავშირეთ პალონკას მიაღწიეს.

გერმანიის მთავრობამ შვეიცარიის საელჩოს შეერთებულ შტატებისთვის ნოტა გადასცა.

ავსტრია-უნგრეთმა შეერთებულ შტატებს გადასცა საპასუხო ნოტა, რომლითაც ვილსონის ყველა მუხლებს ეთანხმება.

რეიტერის სააგენტოს ცნობით მოკავშირენი ზავის პირობებს არ გამოაქვეყნებენ, სანამ გერმანია პასუხს არ გასცემს ვილსონის უკანასკნელ ნოტაზე.

ბულგარეთში საბოლოოდ შესდგა მალინოვის კაბინეთი.

პოლონეთის ახალ კაბინეთში შედიან პაციფისტები, რომელნიც ცენტრალ სახელმწიფოთა კავშირს ეწინააღმდეგებიან.

რუსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატი იმუშავებს პროექტს, ყველა უქმე დღეების მოსპობის შესახებ.

მწუხარებით გულ-დამწვარნი მშობლები ბარბარე და ქრისტესია. მეუღლე თამრო, ძმები ვანო და სტეფანე, დები მარიამი და სონა, დისწული ნინა კიკნაძე სიძეები მიხეილ ძიძაძე და შაქრო ხოხობაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ნუგეში

კოლა ქრისტესიას ძე გუთლიაშვილი

მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან ხუთშაბათს, 31 ოქტ. დილის 10 ს. (ცხრამეტ თებერვლის ქუჩა 66). მიასვენებენ ანჩის-ხატის ეკლესიაში. წირვის შემდეგ დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზ. პანაშვიდი 30 ღვინობისთვეს საღ. 5 საათზე. 3—1842—3

## კიდევ ტერიტორიისათვის

ბორჩალოს მაზრაში შექმნილ მდგომარეობიდან ნათლადა სჩანს, რომ ყველაზე უდიდეს და უმნიშვნელეს საკითხად საქართველოსათვის ამ ჟამად უნდა იყოს საკითხი ტერიტორიისა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სახელმწიფო საზღვრების შემოხაზვისა.

ამ რამდენიმე თვის წინედაც, როდესაც ტერიტორიის საკითხი მოკლებული იყო დღევანდელს სიმწვავეს, მაგრამ გადასაჭრელად მაინც იდგა, ჩვენ მრავალჯერ აღგვინიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცება აუცილებლად მოითხოვს საზღვრების გამიჯვნას, ყოველს შემთხვევაში ეს პროცესი უნდა დაჩქარდეს იქ, სადაც ჩვენი სახელმწიფო საზღვარი დავას იწვევს მომიჯნავე სახელმწიფოსაგან.

არსებითად ყოველი ომის მიზანს შეადგენს ტერიტორიის გაფართოება: გამარჯვებულს ემატება, ხოლო დამარცხებული ხშირად ჰკარგავს ტერიტორიას, თანახმად თქმულებისა: vae victis!

სახელმწიფოს მართებლობის უპირველესი დანიშნულებაც ტერიტორიის მთლიანობისა და ხელუხლებლობის დაცვაში გამოიხატება.

ერის მზრუნველი მესვეურნი აქედან იწყებენ სახელმწიფოს აღშენებას, რადგანაც უწყიან, რომ სხვა სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტა მათ ხელშია და, მაშასადამე, შესაძლებელი ნაკლის გამოსწორება სიძნელეს არ შეიცავს, მაგრამ სახელმწიფოს ტერიტორიის დაკარგვა ისეთი დანაკლისია, რომლის ანაზღაურება მხოლოდ იშვიათ საერთაშორისო და პოლიტიკურ კომბინაციებს თუ შეუძლია.

თანდაყოლილი ცოდვა საქართველოს სახელმწიფო—პოლიტიკურ მეთაურებისა სწორედ იმაშია, რომ ისინი იმ თავითვე გვერდს უხვევდნენ ტერიტორიის ჩამოყალიბებას და საზღვრების ამოხაზვას იმ იმედით, რომ მათის აზრით, ამის მოწესრიგება ვინმე—მესამის—კომპეტენციას შეადგენს!

ეხლა-კი აშკარავდება, რა დიდი ზიანი მივაყენეთ ჩვენს სახელმწიფოს გამოურკვევლობით და გაუგებარი დათმობით.

სანაინთან შემოპარულმა მტერმა საღათას ძილს განაშორა ქართველი ერი. სომხების უდიერმა საქციელმა უკიდურესად აღაშფოთა თვით ყოვლის მომთმენი და დამთმობი სოციალისტური ნაწილი ქართველობისა! სამხრეთ სანაპიროზე დაჭექილმა ზარბაზანმა აგრძნობინა სტუმართმოყვარე საქართველოს, რომ ჩვენი ქვეყნის შარა-გზაზე გამვლელ-გამომვლელთა შორის მოიძებნება ისეთი უმადური და გულ-შავი ხალხიც, რომელთა თავისუფალი შემოსვლა საქართველოს ალაყაფის კარებში საფრთხეს უმზადებს სახელმწიფოს მყუდროებას და არსებობას.

საჭირო გახდა ფიქრი და დაუცხრომელი მუშაობა სახელმწიფოს მთლიანობისათვის, მისი სუვერენიტეტის უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს პოლიტიკის დღის წესრიგში ტერიტორიის საკითხი დგას. პარლამენტი და მისი მთავრობა არ დაიყოვნებენ ავტორიტეტულისა და ყველასათვის გასაგებ გარდაწყვეტილების გამოტანას, რომ მტერმაცა და მოყვარემაც ერთხელ და სამუდამოდ შეიტყონ მთელი ქართველი ხალხის შეურყეველი აზრი და ნებისყოფა.

საფიქრებელია, რომ დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა იმ დასკვნამდე მიიყვანს საქართველოს მთავრობას და საკანონმდებლო დაწესებულებას, რომ კატეგორიული დადგენილებითა და შესაფერი ზომებით დაუბოლოვებელ პრეტენზიების მქონე მეზობლებს მოუჩინოს საზღვარი, რომლის გადმოლახვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს მხედრობის დაძლევით.

ბორჩალოს მაზრიდან სომეხთა ურდოების განდევნით საქართველოს საზღვრების საკითხი დამთავრებულად არ ჩაითვლება. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ სხვა ადგილებშიაც ჩვენს მიწა-წყალზე ჩვენივე დაუდევრობისა და უმოქმედობის წყალობით დროებით უცხონი ხელმწიფობენ! დოვლათიანი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მთელი ალაზნის გაღმა მხარე—ზაქათლის ოლქი—მოწყვეტილია საქართველოს.

უცნაურად გადასწყდა საინგილოს ბედი: ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დანაწილების შემდგომ ეს კუთხე დარჩა, რომის უფლების ტერმინი რომ ვიხმაროთ—hereditas jacens-ად. იმ დროს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას ისეთი მიმართულება ჰქონდა, რომ ზაქათლის ოლქის შემოერთებას ბევრი ქართველიც იმპერიალისტურ აქტად ჩასთვლიდა. მაშინ საქართველოში სახელმწიფო საკითხები და განსაკუთრებით ტერიტორიული შემოფარგვლა პრინციპიულად სწყდებოდა ხოლმე სამერმისოდ. ამიტომაც მოხდა, რომ უფრო რეალური პოლიტიკის მიმდევარმა ადერბეიჯანმა მიიკუთვნა საქართველოსაგან მიტოვებული ოლქი და ჩვენი უმოქმედობით წაქეზებულმა ბოლოს ალაზნის გაღმოღმა ნაწილზედაც შეგვედავა.

ზაქათლის ოლქზე და კერძოდ საინგილოზე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ბევრი დაწერილა.

უხსოვარ დროის საქართველოს პროვინციის მნიშვნელობა და საჭიროება ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიური განვითარებისათვის ქართველი საზოგადოებისათვის სავსებით გამორკვეულია. აღმოსავლეთ საქართველოში გამაგრება და დამკვიდრება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ხელთ გვიპყრია ისეთი პუნქტები, როგორიც არის სამხრეთით ბამბაკ-ლორისი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ზაქათლის ოლქი ნუხის მაზრის ადმინისტრატიულ მიჯნამდე.

მდგომარეობა ერთობ სერიოზული და პასუხსაგებია. ქართველი ერი მზად უნდა იყვეს ყოველივე მოულოდნელობისათვის. სომხობის შეიარაღებული თავდასხმის ლიკვიდაცია ჯერ კიდევ არა ჰნიშნავს საფრთხის სავსებით მოშორებას. რკალივით გარშემოცულ მტრებით საქართველოს სიფხიზლე ჰმართებს, რომ სანაინის განმეორებამ ღირსეული პასუხი მიიღო.

ბამბაკის და ლორისის საკითხმა აამოძრავა ქართველი საზოგადოება და აგრძნობინა თბილისისა და მთელი აღმოსავლეთ საქართველოისადმი მიმართული საფრთხე. მაგრამ ქართველობამ უნდა საბოლოოდ შეიგნოს, რომ შეუდარებლად დიდი საფრთხე ჩვენ მოგველის იმ შემთხვევაში, თუ ზაქათლის გასაღები სხვის ხელში იქნება.

*რ. ინგილო.*

## ხალხთა ტრიბუნალი

თუმცა საბოლოო ზავი ჯერ კიდევ შორსაა და მეომარ მხარეთა შორის ნოტათა დაწყებულ გაცვლას თუ რამ დადებით შედეგი მიეცა ეს მხოლოთ დროებით შეჩერება იქნება სამხედრო მოქმედებისა, მაინც საინტერესოა გავითვალისწინოთ იმ ნიშნების მიხედვით რომელიც უკვე ჰსჩანს, თუ რა ხასიათის იქნება მომავალი სამშვიდობო კონფერენცია, როცა გინდა გაიხსნას იგი ამ ზამთარს, გაისად თუ სხვა დროს,

იმ თავიდგანვე განცხადებული იყო ერთა თვითგამორკვევის უფლებები, რომლითაც ბევრმა, განსაკუთრებით ძველ რუსეთის ფარგლებში მოქცეულმა ერებმა უკვე ისარგებლეს. ბევრი კი ცდილობს მომავალში ისარგებლოს ამ ომიანობის გამო გამარჯვებული საერთაშორისო პრინციპებით და მის მიერ შექნილ მდგომარეობით. შეთანხმების სახელმწიფონი კიდევ უფრო შორს მიდიან: გერმანეთის პროვინციათა, ელზასისა, ლორენისა და პოზნანის მდგომარეობასაც კი ეხებიან, რაზედაც რასაკვირველია, ცენტრალი სახელმწიფონი გაცილებით მეტი სამართლიანობით ეგვიპტესა, ინდოეთსა, ირლანდიისა და სხვ. ერების მდგომარეობის შეცვლას ხაზს უსვამენ. ეს ერები, თავიანთი მდგომარეობით, უკვე დაინტერესებული შეიქნენ კონფერენციის ხასიათითა და მუშაობით: პოლონეთი, ლიტავა, ლატვია, ფინლანდია, უკრაინა ჩრდილოეთში, საქართველო, სომხეთი, ადერბეიჯანი და მთიელთა კავშირი კავკასიაში უსათოდ მოითხოვენ და კიდეც დაკმაყოფილებულ იქნებიან, რომ თავიანთი წარმომადგენელნი იყოლიონ კონფერენციაზე. არა ნაკლების უფლებით ელიჭურვებიან ამავე დღეს ნეიტრალად დარჩენილი სახელმწიფონი: შვეცია, ნორვეგია, ჰოლანდია, დანია, შვეიცარია, ესპანეთი, პორტუგალია, იაპონია, ჩინეთი და სპარსეთი. ომიანობამ ამ ქვეყნებსაც დაამჩნია თავისი კვალი, ყოველი მათგანი მისი შედეგებით ძალზე დაინტერესებულია. რამდენაც ეხლანდელი ომი არა ჩვეულებრივი იყო თავისი ინტენსიური ძალებთა წარმოების მხრივ და ასპარეზის სიფართოვით იმდენად მისი გავლენა ძლიერი იყო ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოთათვის, რომელნიც ძალზე დაინტერესებული არიან მისი შედეგებითაც—საბოლოო საზავო კონფერენციითაც, სადაც უკვე შეიმუშავებენ ომიანობით წამოყენებულ საკითხთა შესახებ საბოლოო ნორმებს მსოფლიო მნიშვნელობისას, რომელი ნორმებიც ერთგვარის აუცილებლობით სავალდებულო იქნება მთელი კაცობრიობისათვის. აგეთ მნიშვნელობის კონფერენციაზე მიუცილებლათ წარმოდგენილი იქნება ყველა არსებული სახელმწიფონი. კიდევ მეტი. შეიძლება კონფერენციისათვის მოხდენილათ ისარგებლონ სხვა დაბეჩავებულმა ერებმაც: ჩეხოსლოვაკებმა, ინდოეთის ერებმა, ირლანდიელებმა და სხვ., დაეყრდნონ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და მოითხოვონ ადგილი კონფერენციაზე თავიანთი წარმომადგენლისათვის, და რადგანაც მეომარ სახელმწიფოთა ინტერესია თავის მოპირდაპირის საწინააღმდეგოთ თუ არა, გადამწყვეტი ზნეობრივი უმრავლესობის შექმნელად მაინც, ყოველი ძალღონეს იხმარენ ძლიერნიც კი, რომ ეს ერებიც დაუშვან კონფერენციაზე. ფორმალურად ხომ უარს ვერ ეტყვიან! ამგვარად შეიქნება ხალხთა წარმომადგენლობა მშვიდობიან ცხოვრების საბოლოო ნორმების გამოსამუშავებლად. ისტორიამ არ იცის ასეთი მსოფლიო ხასიათის, კონფერენცია. შეიძლება დიადოხების უკანასკნელი კონფერენცია შეედაროს კლასიკურ ხანაში თავისი მსოფლიო შემადგენლობითა და შედეგებით, მაგრამ ესეც მხოლოთ დაახლოვებით.

მეორე საკითხია რა შინაარსის იქნება ეს კონფერენცია. ინგლისი ლურჯ წიგნს ამზადებს, გერმანეთის „ვერაგობათა და ბარბაროსობათა“ მოსათხრობად. საყვედურების სია მზადდება ამერიკაშიაც: წყალქვეშათა დაუზოგაობა, გადამეტებული სიმკაცრე, კულტურულ ნაწარმოებთა განადგურება, შეუბრალებლობა და სხვ. მაგალითებით, დატებით და მოწამეებითაც უნდათ დაამტკიცონ. ყველაფერი სურთ წარუდგინონ კაცობრიობის სინიდისსა და მართლმსაჯულებას. ამისათვის, რასაკვირველია, ყველაზე მოხდენილი წუთი კონფერენციაა, სადაც ხალხის რჩეულნი ერთად იქნებიან თავმოყრილნი და სადაც ბრძოლა უფრო ზნეობრივი არგუმენტებით მოხდება, მაგრამ უკვე საბოლოო და გადამწყვეტი იქნება. აი, ამ წუთისათვისაც ემზადებიან. უფრო მეტის სამართლიანობით გერმანია ხაზს უსვამს ინგლისის მოქმედებას ავსტრალია-აფრიკაში, ინდოეთში, შორეულ აღმოსავლეთში, ჩინეთში, თვით ირლანდიაში და უკანასკნელად, ისეთ კულტურულ ნაწარმოებთა განადგურებას, რომელთათვისაც მთელი ოთხი წლის ომიანობისას ერთი ქვაც კი არ დაუზიანებიათ გერმანელებს და რომელთა განადგურება, ამტკიცებენ გერმანელები, მოწინააღმდეგენი არავითარი სტრატეგიული მოსაზრებით არ იყო გამოწვეულიო. პატარა ერებიც, თავიანთი მხრივ, მიიტანენ საკმაო სასაყვედურო მასალას მათი ყოფილ ბატონებზე. ამ მასალასაც გამოიყენებს ყოველ მხარე, რამდენადაც კი შესძლებს.

ამგვარად მომავალი კონფერენცია შეიძლება მიიღებს დიადი სამსჯავროს ხასიათს—ის იქნება ხალხთა ტრიბუნალი. იქ უნდა წარსდგეს ყოველი თვისი ცოდვებითა და კეთილ ნამოქმედარით. მისთვის ემზადებიან გაფაციცებით ევროპისა და აზიის სახელმწიფონი. მას შესცქერიან იმედის თვალებით დედამიწის ზურგზე გაფანტული პატარა ერები, რომელთაც შესწევთ ეროვნული შეგნების ძალა. მისთვის უნდა ვემზადოთ ჩვენც.

ჩვენი უფლებრივი და ამიტომ ფინანსიური დამოკიდებულება რუსეთთან, ჩვენი და რუსეთის ვალდებულება ურთიერთშორის, ის სიმდიდრე, რომელიც თავის დროზე წარელო საქართველოს და მის ეკლესიას. და ის ზარალი, რომელიც მოგვაყენა ჩვენ 1783 წ. ტრაქტის დარღვევამ, რუსეთის ჯარის ჩვენში მოქმედებამ, თავისი „პოგრომებით“, მისმა მოღალატურათ უეცრივ წასვლამ და სხვ. ბევრი ამგვ. ფაქტების დაგროვება-სისტემატიზაციაა საჭირო. არა ნაკლები ყურადღება გვმართებს მივაქციოთ ჩვენს გარშემო მტრულათ დაბანაკებულთ და მათ შესახებაც ის საკმაო მასალები რომელიც ჩვენს ხელთაა, და რომელიც დღითი დღე მრავლდება მტერთა თავდავიწყებით, შესაფერისათ გამოვიყენოთ.

მთავრობა ვალდებულია ყოველი კერძო საკითხის შესახებ ეხლავე შეუდგეს მასალების მზადებას და საჭირო საბუთების შეკრეფას. ყოველი მოქალაქე ვალდებულია შეძლებისა დაგვარათ დაეხმაროს ჩვენს სახელმწიფოსა და მთავრობას ამ საშვილიშვილო გადამწყვეტ მნიშვნელობის მუშაობაში, რომ საბოლოოდ განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნისა და ერის მშვიდობიანი, აღორძინებითი მუშაობა კულტურულ სახელმწიფოთა ოჯახში.

*ტიტე მარგველაშვილი.*

## მთავრობის წრეებში

იუსტიციის მინისტრმა შ. ვ. ალექსი-მესხიშვილმა სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულების გაცემა იმის შესახებ, რომ მილიციის მოხელეებმა ქართულად აწარმოვონ კვლევა-ძიება (дознанiе), ვინაიდან უკანასკნელი მჭიდროდ დაკავშირებულია საქმის წინასწარ გამოძიებასთან, რის შესახებ უკვე განკარგულება გაიცა გამომძიებელთადმი, რომ ქართულად იწარმოებოდეს.

—

თბილისის სასამართლო პალატის უფროსს თავმჯდომარეს და პროკურორს წინადადება მიეცათ დაუყონებლივ განკარგულება მოახდინონ, რათა ყველა მათ ხელქვეით დაწესებულებათათვის საჭირო ბლანკები, ფორმები, წიგნები და სხვ. ამიერიდან მხოლოდ ქართულად იბეჭდებოდეს.

—

თბილისის საგანგებო სასამართლოს სხდომები ამ დღეებში დაიწყება. პირველად გაირჩევა, საქმე ოსიპ სარქისოვისა, რომელსაც ჰბრალდება მამედ იზმაილოვის გაძარცვა. დამნაშავეს ბრალდების ოქმი უკვე ჩაბარდა.

—

საქართველოს იურიდიული საზოგადოების წესდება უკვე დაამტკიცა თბილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილებამ. საზოგადოების დროებით გამგეობას შეადგენენ: დ. კვირკველია (თავმჯდომარე), ბ. ჩაჩიბაია (თავმჯდომარის ამხანაგი), გ. ჟორდანია (მდივანი, ი. ყიფშიძე, ა. ბებურიშვილი, ს. ჩხეიძე და ა. ახნაზაროვი (ხაზინადარი).

—

გიორგობისთვის 14-ს თბილისის სასამართლო პალატაში გაირჩევა ცნობილი საქმე თბილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის ყოფილ თანაშემწის სერგიევსკისა, რომელსაც ბრალდება ქრთამის აღება. სხვა მოწმეებთან ერთად დაბარებულია იუსტიციის მინისტრი შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი.

—

განათლების მინისტრს აზრადა აქვს იშუამდგომლოს, რომ იმ რუს-მასწავლებლებს, რომელნიც რევოლუციამდე მსახურებდნენ და ეგრედ წოდებულ ხუთი წლის მომატებას იღებდნენ, მოუსპოთ ასეთი ჯილდოს მიცემა და ჯამაგირში სხვა მასწავლებლებს გაუთანასწორონ.

## საპარლამენტო ქრონიკა

**პარლამენტის სხდომა.** დღეს, დილის 12 საათზე შესდგება საქართველოს პარლამენტის სხდომა. წესრიგშია კანონ-პროექტი დამფუძნებელ კრების შესახებ.

## საქართველო-სომხეთის უთანხმოება.

სანაინიდან დაბრუნდა სომხეთის დიპლომატიურ საელჩოს მიერ სანაინში გაგზავნილი დელეგაცია. დელეგაციის წევრთა სიტყვით უთანხმოება საქართველო-სომხეთის საზღვარზე მშვიდობიანად დასრულდა.

## აგრარული რეფორმები.

მიწათმოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილების ცნობით მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე მიმღებ კომისიებს ფონდში მიუღიათ:

1. თბილისის მაზრაში 52554 დეს. 1166 კ. ს. მიწა. 2. გორის მაზრაში 35939 დეს. 1627 კ. ს. მიწა. 3. დუშეთის მაზრაში 12803 დეს. 257 კ. ს. მიწა. 4. თიანეთის მაზრაში 12218 დეს. 1854 კ. ს. მიწა. 5. სიღნაღის მაზრაში 16247 დეს. 647 კ. ს. მიწა. 6. თელავის მაზრაში 24513 დეს. 1192 კ. ს. მიწა და 7. ბორჩალოს მაზ. 14585 დეს. 1081 კვ. საჟ. მიწა. სულ თფილისის გუბერნიაში მიღებულია ფონდი 168852 დეს. 624 კვ. საჟ. მიწა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათ მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილების ცნობით მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე მიწის ფონდში მიღებული ყოფილა ქუთაისის გუბერნიაში:

1. ქუთაისის მაზრაში 5565 დეს. 2387 კვ. საჟ. 2. შორაპნის მაზრაში 5155 დეს. 2069 კვ. საჟ. 3. რაჭის მაზრაში 35 დეს. 2180 კვ. საჟ. 4. ოზურგეთის მაზრაში 15465 დეს. 25 კვ. საჟ. 5. ზუგდიდის მაზრაში 1833 დეს. 1630 კვ. საჟ. და 6 სენაკის მაზრაში 25208 დეს. 453 კვ. საჟ. სულ ქუთაისის გუბერნიაში 53264 დეს. 1544 კვ. საჟ. მიწა.

### ბრძოლა კავკავში.

[illegible]

# საქართველოს პარლამენტში

29 ოქტომბრის სხდომა. თავმჯდომარეობს ნიკ. ჩხეიძე.

### ახალი დეპუტატები

[illegible] მე რიქიაშვილი.

### კამათი დამფუძნებელი კრების დებულების შესახებ

**ჯარი და ადმინისტრაცია.**

გრძელდება წარსულ ჩვეულებრივ სხდომაზედ შეწყვეტილი კამათი დამფუძნებელი კრების დებულების შესახებ.

### იურიდიულ კომისიის აზრი

პარლამენტის იურიდიულ კომისიის სახელით ლაპარაკობს **მელიტონ რუხია** (ს. დ.) კომისიამ საჭიროდ სცნო დებულებაში შეეტანა ორი შესწორება: რომ ჯარს აუცილებლად მიეცეს პასსიური საარჩევნო უფლება და [illegible]

### ივანე გობეჩია (ს. რ.)

[illegible]

**ევგ. გეგეჭკორი** (ს. დ.) (ადგილიდან) სხვაგან სად არის ეგრე?

**ი. გობეჩი**: სხვაგან შეიძლება არსად არ იყოს მაგრამ სხვაგან სად არის რომ პარლამენტში სოციალისტები უმრავლესობას შეადგენდენ... ჩვენი თავისუფლება, რომელიც რუსეთის დიდი რევოლუციის ალში წარმოიშო უნდა განირჩეოდეს მეშჩანურ ევროპისაგან.

ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს სრული სამოქალაქო უფლება.

ადმინისტრაცია კი, რომელიც წესიერებას იცავს, შეუძლებელია სარგებლობდეს საარჩევნო უფლებით, რა- [illegible]

[illegible] ბილება? ეროვნულ ყრილობაზედ, რომელზედაც აირჩა ეს პარლამენტი, ნახევარი **მთელი შემადგენლობისა მემარცხენენი იყვნენ,** დარბაზი მემარცხენეთ ეკავათ და როდესაც არჩევნები ძალთაგანწყობილების მიხედვით მოხდა, ამ მემარჯვენეთ 9 ადგილი ერგოთ და სოც.-რევოლიუციონერებისაგან, რომელთა რიცხვი ამ ყრილობაზედაც და მთელ საქართველოშიც 10 კაცს არ აღემატება, ათივე აქ შემოაყვანეს. აი ეს არის ძალთა განწყობილება.

დეპუტატის წლოვანება. დებულებაში წლოვანების მინიმუმად აღნიშნულია 19 წელი. თუ დამფუძნების [illegible]

### სპ. კედიას სიტყვა.

[illegible] მის შესახებ არაფითარი მსჯელობა არ ყოფილა ქართულ საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში. ეს კი მიუცილებელი საჭიროება იყო.

ამ საქმის შესასწავლად აუარებელი მასალა არსებობს.

საყოველთაო საარჩევნო უფლება ახალი არ არის; მას დიდი ისტორია აქვს და კანონმდებელს უნდა გადაეხედნა და შეესწავლა იგი.

ხოლო როდესაც ამ დებულებას ვკითხულობ, ვრწმუნდებით რომ ამგვარი ცდა და ძებნა არ ყოფილა.

იმ გრძელ ისტორიაში, რომელიც ამ საარჩევნო უფლებამ გაიარა კანონ- [illegible]

[illegible] პოლიტიკურ ცხოვრებაში ხანგრძლივი ბრძოლის საქმეა, იგი სტიქიაა და ვერც ვერავინ შეაყენებს თავის მფლობელობაში.

ასეთ პირობებში კანონმდებელის მუდმივი ზრუნვა ის უნდა იყოს, რომ ამ სტიქიის მისაღწევი საბოლოო იდეალი არსებულ სინამდვილეს შეურიგოს, ესენი ერთი-მეორეს არ დააჯახოს და საქმე კატასტროფამდე არ მიიყვანოს.

იდეალისა და სინამდვილეს შორის ექილიბრის გამოძებნაშია კანონმდებლის დანიშნულება. ამ ორი მომენტის დაახლოვება ერთ წუთსაც არ უნდა დაეკარგოს თვალიდან. თორემ ვიცით ქვეყნები, რომლებიც გაქანებულ დემოკრატიულ იდეალს ჯურღმულში გადაუჩეხია.

როდესაც ამ დებულებას ვთვალისწინებთ, ვხედავთ, რომ მის შემდგენელს სწორედ ეს არ ჰქონია სახეში.

იგი თარგმნილია იმ დებულებიდან, რომლის მიხედვით უნდა მოწვეულ იყოს რუსეთის დამფუძნებელი კრება.

ჩვენს კომისიას საკუთარი შემოქმედების დებულება არ წამოუყენებია; ეს, რასაკვირველია, ადვილი საქმეა, მაგრამ მიზნისთვის, ვფიქრობ, რომ არაა სასარგებლო.

ეს დებულება ქაღალდზე წარმოადგენს სრულებით განხორციელებულ იდეალს საარჩევნო უფლებისას.

ჩვენს დებულებაში მიღებულია მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქი. ესეთს მაგალითს დღეს ძნელად ჰპოებთ. თუ არ ვცდები, მხოლოდ ესპანიაში არის ამის ერთად-ერთი მაგალითი.

იმ ქვეყნებში კი, სადაც წარსული და ტრადიციის ძალა მუშაობს, ესეთი მაგალითი, რამდენადაც ვიცი, არ მოიძებნება.

ეს ნაკლია და ერთი ოლქის ნაცვლად შემოღებულ უნდა იქმნეს რამდენიმე საარჩევნო ოლქი.

[illegible] წამოყენება მეტად საბუთიანად გვეჩვენება.

თუ ჩვენ დავადგებით იმ გზას, რომ ხალხის წარმომადგენელნი დაუკავშიროთ ხალხს, ეს იქნება დიდათ მნიშვნელოვანი შესწორების შეტანა ჩვენს დებულებაში. ეს გზა მხოლოდ მრავალ-ოლქიანობის შემოღებით გამოინახება.

როდესაც გადავდივართ იმ აპარატის განხილვაზე, რომელმაც უნდა განახორციელოს ეს საარჩევნო კანონი, ჩვენ ვხედავთ, რომ კომისია ვერ ასულა იმ სიმაღლემდე, საიდანაც პარტიობა და პარტიული სულისკვეთება უკვე აღარ მოსჩანს. ეს კი მიუცილებელი იყო. ხალხს უნდა ჰქონდეს შინაგანი ზნეობრივი რწმუნება, რომ საარჩევნო აპარატი მიუკერძოებელია და რომ ამომრჩეველთა ნების ყოფა ყოველგვარ მახინაციებისა და ძალდატანების გარეშე არის. ამის გარანტია უნდა იყოს. ასეა სხვა ქვეყნებში.

სამაზრო საარჩევნო კომისია მეტად მნიშვნელოვანი კომისია ყოფილა სხვა კომისიათა შორის იმ მხრივ, რომ იგი სათავეში უდგას და ხელმძღვანელობს პირდაპირ არჩევნებს.

დებულების მე 12 მუხლი ამბობს: სამაზრო კომისიას ადგენს სამაზრო ქალაქის თვითმართველობის გამგეობა, რომელიც თავის წრიდან ირჩევს თავმჯდომარეს, ეს უკანასკნელი კომისიას ადგენს მაზრაში ყველა მომქმედი პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით".

აქ იყო უკვე ამის შესახებ ლაპარაკი და მე არ გავიმეორებ. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ესეთი კომისია ხალხის ნდობას ვერ დაიმსახურებს.

აქ იყო აგრეთვე ნათქვამი, რომ ასეთ ერთ პირისთვის მინდობა პარტიების ძალთა-განწყობილების გამორკვევა მეტად სუბიექტიურ მოტივებს

# საქართველოს ოსები

(მგზავრის შთაბეჭდილებანი).

3.

**სულიერი განწყობილება.**

მაგრამ ოსეთის ეკონომიურ განწყობილებაზედ უფრო მეტად მათი სულიერი განწყობილება გვაინტერესებდა, მათი მაჯის ცემა, მათი დღევანდელი დუხ ჰირი. მოგეხსენებათ, ოსეთი დღემდე გაჩუმებული იყო და თუ საყურადღებო რამ გამოძახილი ხდება ოსეთში ისევ პირიქით ოსეთში და არა საქართველოს ოსებში. ზოგს ეგონა ოსეთს სძინავს სილათას ძილით და ნიშანწყალი არ ეტყობაო, მაგრამ მწარედ სცდება ვინც ასე ფიქრობდა. ოსეთი ჩუმათ წყნარ კულტურულ მუშაობას ეწეოდა, დიდის ენერგიით ეკიდებოდა სწავლა განათლების საქმეს და იმ დროს, როცა ქალაქში სკოლები თითზედ ჩამოსათვლელები იყო, ოსეთში არც ერთი დიდი სოფელი არ მოიძებნებოდა რომ სკოლა არ ჰქონოდა. რუსეთი რასაკვირველია ორივ ხელით შემწეობას აძლევდა ოსებს, ყველაფერში ეხმარებოდა მათ, სკოლებს თავისი ხარჯით ინახავდა დ ბოლოს საკუთარი ანბანიც შეუდგინა ოსებს და ამით სამუდამოდ განსდევნა ყოველივე ქართველური ოსეთიდგან. რუსეთი ამას თავის გულკეთილობით კი არ შვრებოდა, არამედ იმ რომაულის ბრძნულის თქმულებით რომელსაც divide et impera ჰქვიან და რომელიც ხელს უწყობდა მისის მფლობელობის განმტკიცებას კავკასიაში. ამის შემდეგ ქართველური გავლენა თანდათან ისპობა ოსეთში, ქართული სამღვდელოება იდევნება, ქართული წერა კითხვა ისპობა და ამის მაგივრად რუსული კულტურა ინერგება.

ოსეთი კულტურულად იზრდებოდა თანდათან ეროვნულს შეგნებაში შედიოდა. პირველი გამოძახილი ამ შეგნებისა იყო ცხინვალის მარტის ამბები. ცხინვალის ამბები უბრალო ბალშევიკური გამოსვლა არ იყო, ცხინვალის ყუმბარაში ჩაქსოვილი იყო ეროვნული შეგნება გამოღვიძებულის ხალხისა და ეკანომიურის შევიწროებით შეწუხებულის ხალხის გულისტკივილიც. სულ სხვაა ვიფიქროთ რა ნაირ მოსაწონი არ იყო ასეთი გამოსვლა, მაგრამ აქ მაინც ოსეთმა ამოიღო თავისი ხმა თუმცა არა ისე რავდენადაც ეს სასურველი იყო. ამ პირველ გამოსვლას მოჰყვა მეორე გამოსვლაც ეს გასლავთ უფრო შეგნებული, უფრო მიზან—შეწონილი. მე მოგახსენებთ გზატკეცილის გაყვანაზედ კავკასიის უღელტეხილზედ დაწყებული ცხინვალის მახლობელ სოფელ კეხვიდგან ვიდრე პირიქით ოსეთის დაბა ალაგირამდე. ეს გზა გაჰყვება კეხვიდან ლიახვის ხეობას, გაივლის შუაგულს საქართველოს ოსეთისას, სოფლებს გუფთას, ჯავას, ხცეს, ვანილს, როკის, აქ გადავა მთაგრეხილზედ, ჩავა სოფელ ზაქიში და შემდეგ ალაგირში. ეს გზა აერთებს ორთავე ოსეთს ამერსა და იმერსა, ე. ი. ჩრდილოეთისა და სამხრეთისას და ამრიგად შეერთდება და გახდება მთლიანი, ერთეული კავკასიის მთაგრეხილით შუაგაგლეჯილი ოსეთისა. ამ გზას დიდი მნიშვნელობა აქვს და სწორედ ამის გამოა, რომ ყოველი ოსი აღტაცებით შეხვდა მის გაყვანას. ოსებმა უგანგაშოდ შეჰკრიბეს დიდძალი ფული ამ საქმისათვის. ამბობენ, შეკრებილი ფულის რაოდენობა აღემატება მილიონ ნახევარსო. საკვირველი ენერგია დ მხნეობა გამოიჩინეს ოსებმა ამ საქმეში და ამით დაამტკიცეს თავიანთი კულტურული ზრდა. განა შევძლებდით სხვა ვინმე ისეთს ღარიბ ხალხში როგორც ოსები არიან ამოდენა ფულის შეგროვებას? მთელს ზემო-ქართლს, რომელიც ოსეთზე გაცილებით უფრო მდიდარი არის, ვერ მოუხერხებია ერთი ხიდის გაყვანა მტკვარზე სად. ქარელთან და ამოდენ, გზის კი და ისიც საუღელტეხილოსი, თავს იდვა მარტოოდენ ოსებმა თავისავე საკუთარი შრომით და შეწირულებით. ეს გარემოება სისრულით მოწმობს ოსეთის სულიერს ზრდასა და შეგნების გამტკიცებას. ვუცქერი ამ გზას სადაც ეხლა ენერგიით სავსე ოსეთი ნაღმით ანგრევს გაუვალს ქვა-კლდეს და მშვენიერი გზატკეცილი გაჰყავს სადაც ავტომობილებიც კი შესძლებენ თავისუფლად მიმოსვლას და შურით მევსება გული, რომ ჩვენი მეზობელი მთაკლდეებში შემწყვდეული იღვიძებს და ჩვენი ქართლი კი, რომლის კულტურის გავლენის ქვეშ იყო დღემდის ოსეთი, სილათას ძილს მისცემია. ეს გზა შექმნის ერთიან, განუყოფელ ოსეთს, რომელიც უფრო მეტის ძალით გამოვა ცხოვრებასთან საბრძოლველად.

ასეთი დიადი მნიშვნელობა აქვს ამ გზას ოსეთისათვის, რომელიც ჰქმნის მთლიან ოსეთს და რომელიც კავკასიის შვეიცარიად გადაიქცევა. ჩვენთვის კი საბედისწერო მნიშვნელობა ექნება ამ გზას. საქართველოს სამხედრო გზას კიდევ მეორე კარები ემატება ჩრდილოეთ კავკასიიდან. ამ გზის გაყვანის შემდეგ ჩრდილოეთიდან გარდა დარიალისა აქედანაც შეძლება მიეცემა მტერს შემოიჭრეს საქართველოში. ჩრდილოეთიდან წამოსულს მტერს პატარა ოსეთი ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ გაუწევს და ამიტომ მტერი თავისუფლად შემოვა ამ გზითაც შუაგულ საქართველოში.

ოსების კულტურულ გზას მოწმობს ის მრავალი სასწავლებლები, რომლებითაც მოფენილია მთელი საქართველოს ოსეთი. არ კი გეგონოთ რომ რუსეთს მართლა მარტოოდენ ოსეთისთვის მოეცალოს და ყველა სასწავლებლები თავის ხარჯით ეშენებინოს. არა, ბევრგან ოსებს თავისი ხარჯით უშენებიათ სასწავლებლები. აბა შეხედეთ სოფელ ჯავის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის შენობას, რომელიც სუფთა თლილი ქვისაგან არის აშენებული. ეს სასწავლებელი ოსების ჯიბით შენდება, რისთვისაც ოსებს უკვე 15,000 მანეთი შეუგროვებიათ. თუ გაიხსენებთ, რომ ჯავა უბრალო სოფელია, რომელიც 100 მეკომურისაგან შესდგება და იმ გარემოებას, რომ ჯავის სიახლოვეს მდებარეობს ქართული დაბა ცხინვალი ხუთჯერ მაინც ჯავაზე დიდი, სადაც ამის მსგავსი არაფერი არსებობს. ჯავაზედ არა ნაკლებ მშვენიერი შენობა აქვს სასწავლებლისა ოსების მეორე სოფელს ხცესს. ასეა მთელს ოსეთს, სოფელი-სოფელს ეჯიბრება თითქმის სწავლა-მეცადინეობის საქმეში. ამას დაუმატეთ ოსების უნარი საქმის შესწავლისა, მხნეობა, მუყაითობა და დამერწმუნებით, რომ ოსეთი საკმარისად გამოღვიძებულია, დავაჟკაცებისათვის ემზადება და თუ მის გვერდით მძინარე ქართველობამაც არ გამოიღვიძა, სწავლა-ცოდნით არ შეიერაღდა და მძლავრი უნარი არ გამოიჩინა სიცოცხლისა და შეგნებისა, ოსეთი წაჰლეკავს მას.

4.

**ქართველებთან დამოკიდებულობა**

ქართველებთან დამოკიდებულობა და ურთიერთობა არ არის კეთილი მეზობლური, მეტადრე ცხინვალის ამბების შემდეგ. ეს არა მეგობრული განწყობილება არის ისეთივე, როგორიც არის ღარიბის მდიდრისადმი, უმიწაწყლოსი კარგის მამულდედულის პატრონისადმი და სხვ. მართალია ქართლელი გლეხკაცი ბევრი არაფრით უფრო შეძლებულია ოსის გლეხებზედ, მაგრამ მასთან შედარებით უფრო ფართოთა სცხოვრობს, უფრო მეტი მიწა-წყალი აქვს და აქედგან გამომდინარეობს შური ქართველებისადმი. ოსებში ხშირად გაიგონებთ, „ყველა კარგი ადგილები ქართველებს ჩაუგდიათ ხელში და ჩვენ კი გადუვალ მთის კალთებზედ მიკრუჩხული ვართო და რაც დრო გადის უფრო გვიჭირდება ცხოვრება და ველარ ვცხოვრობთო".

საქმე იმაშია, რომ ოსეთი მეტად მრავლდება, მშვენიერი მთის ჰაერი, ნაძვის ტყის სუნით და ალპიურის მცენარეულობით შეზავებული, სალი წყაროები, რომლთა შორისაც შეხვდებით მჟავე წყლებს, ხელს უწყობს ხალხის ტანმთელობას. იმდენად ჯანსაღია აქაური ჰავა, რომ ისეთი სერიოზული ავადმყოფობანი, როგორიც არის საოფლე, მუცელა (დეზინტერია) და ჭლექი, რომელთაგანაც ბარს სიცოცხლე აქვს გამწარებული, ოსეთში ნაკლები არი გავრცელებული და თუ შეხვდა ვისმეს ისეთ ადვილად ხდილობს, რომ სრულიად საჭირო არ ხდება ექიმის დახმარება. გარდა ამისა, ოსები არ ებრძვიან გამრავლებას, როგორც ჩვენი ზოგიერთნი მთიელნი, რომელთა შორისაც გავრცელებულია წყეული ჩვეულება ეგრედ წოდებული მეცნიერებაში coitus tnteruptusep და რომელიც საშინლად ხელს უცარავს ხალხთა გამრავლებას, ოსეთი ებრძვის კი არა ხალხთა გამრავლებას, პირიქით, არა იშვიათად ჰპოვებთ მათში ორცოლიანობას, რითაც ხალხის გავრცელებას ფართო ადგილი ეძლევა. ამისგამოა, რომ ოსეთში ისეთი ოჯახი იშვიათია, სადაც 5—10 ბავშვი არ ჰყავდეს მეოჯახეს. ხალხი ამიტომ საშინლად ვრცელდება, ვრცელდება ბუნებრივათ და აი ამ ხალხს გასავალი უნდა, გზა უნდა, რომ მომეტებული ხალხი სხვაგან წავიდეს, მოშორდეს ამ მცირე მიწა-წყლიან ადგილებს. ამიტომაა, რომ ოსები საშინელის სიწრაფით მიიწევენ გადასასახლებლად. ამ ოცდა ათის წლის წინეთ, რომ გენახათ ცხინვალის და თიღვის ქვემოდ იშვიათად მოიძებნებოდა ოსების მოსახლეობა, მაგრამ ეხლა იშვიათია ზემოქართლში ისეთი სოფელი, სადაც ოსობა შეკედლებული არ იყვეს. ზოგ ადგილას ოსები ახალს სოფელს აარსებენ. ესახლებოდნენ საბატონო მამულებზედ და ან კიდევ პირდაპირ ქართველთ სოფლებში ქართველი გლეხკაცობა, რომელიც ზოგადგილას მაინც არ იყო მიწა—წყლით მდიდარი, ებრძოდა ამ მოვლენას ასე თუ ისე. სოფელ ბრეთში, როცა თავადებმა მოახდინეს ოსების ჩამოსახლება, სოფლელებმა საქონელი და ცხვარი უკანვე გაირეკეს და კეტებით გამოუდგნენ ჩამოსასახლებლად მოსულ ოსებს. სოფელ წვერში კიდევ ჩამოსული ოსები არასგზით არ შეუშვეს სოფელში და ოსები დღესაც მოკრუნჩხულნი არიან სოფლის მოშორებით სერზედ. და ამგვარად ებრძოდა ქართველი გლეხობა ოსების ტალღას, რომელიც მთელი თავისი ძალღონით მოიწევდა და მოიწევს შუაგულ ქართლისაკენ, მაგრამ რას გახდებოდა გლეხკაცობა, როდესაც თავადები თავიანთს კუთვნილს მიწაწყალს ფლავივით ურიგებდნენ ოსობას. აი ამის გამოა რომ დღეს რკინის სალტასავით გარს ერტყმის ოსობა ქართლსა და შიგ მის შუაგულში შეჭრილი. ქართლს საშინელი საფრთხე მოელის და ამ ფრიად სერიოზულს საკითხს ჩვენმა მთავრობამ დროით უნდა მიაქციოს ყურადღება და ოსებს სხვა ადგილი მისცეს სადმე დასასახლებლად, რათა ოსებმა მთელი ქართლი შუაზედ არ გაჰგლიჯონ და ამით დიდი საფრთხე არ მოუმზადონ საქართველოს. ყველაზედ უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ ოსებისათვის თავისი ძველ სამშობლოზედ მიგვეთითებინა ე. ი. ჩრდილო კავკასიაზედ. ჩრდილო კავკასიაში უფრო მეტი თავისუფალი ადგილებია ვიდრე ბედკრულ საქართველოში, რომელსაც ათასი სხვა ერი ეპოტინება. ჩრდილო კავკასიაში კარგა ხანია რაჭველებიც კი გადასახლდნენ და ორ სოფელში ალაგირსა და ნალჩიკში მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ და თუ გადასახლებულ რაჭველებისთვის არის ადგილი შუაგულ ძველს ოსეთში მით უმეტეს თვით ოსებისთვის იქნება. უფრო უკეთესი იქნებოდა ქართველები (რაჭველები) თავიანთ სამშობლო საქართველოში დარჩენილიყვნენ. ხოლო ოსებს კიდევ ისედაც უმიწაწყლო ჩვენი გლეხობა არ შეეწუხებინა.

ზ. ედილი.

შეიტანს ამ კომისიების შედგენაში. რომ იყოს სრული მიუდგომლობა და ამომრჩეველთა პარტიებიც დამშვიდებული იყვნენ, ეს კომისია უნდა შესდგეს პარტიათა გარეშე მდგომ პირებისაგან.

**ე. გეგეჭკორი** (ადგილიდან): ვინ ვინ?

**ს. კედია:** მოგახსენებთ, როდესაც მუხლობრივ განხილვაზედ გადავალთ.

ჩვენ შენიშვნას იწვევს ის მუხლიც, რომელშიაც ჯარის შესახებ არის ნათქვამი.

ჯარი რომ პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს და რომ მას უფლება არ აქვს პარტიულ საქმეში გაერიოს,—ეს აღიარებულია კანონითაც. ჯარის კაცმა და მისმა უფროსებმა, ვიდრე ისინი სამხედრო სამსახურში იმყოფებიან უნდა იცოდენ, რომ თავის სამსახურის საფასურში, მოვალენი არიან დადგენ პარტიული შეხლა-შემოხლის გარეშე და მტრების მოგერიებისათვის იზრუნონ. სახელმწიფოს უზენაესმა ორგანოებმა და მათ შორის საკანონმდებლო დაწესებულებას თავიანთ მოქმედებით და კანონით ხელი უნდა შეუწყონ, რომ მხედრის შეგნებაში სამშობლოს დაცვის იდეამ სხვა ყველაფერი დაჩრდილოს. ამ აზრს მთელი ჯარი უნდა შეეჩვიოს ფსიხოლოგიურად და როდესაც ეს მაღალი იდეა სამშობლოს და სახელმწიფოს დაცვისა მათი არსებას დაიპყრობს, სწორედ მაშინ გვეყოლება მტკიცე ჯარი და ჩვენი თავისუფლებასაც უზრუნველყოფილი იქმნება.

აი გუშინ წინ რომ ჩვენს პარლამენტში საკითხი დადგა ჩვენ სახელმწიფოს საზღვრების დაცვისა, განელდა ატმოსფერა შეხლა-შემოხლისა და ერთმანეთში გაერთიანება მოხდა.

აი ასეთივე ატმოსფერა უნდა დამეჯარდეს და მუდამ ბატონობდეს ჯარში და ამიტომ ეს ყოველგვარი საარჩევნო უფლება ჯარს უნდა ჩამოერთვას. ეს უფლების ჩამორთმევა-კი არა, მისთვის ღირსების შემატებაა. რაც შეეხება ადმინისტრაციას, მე ვერ ვხედავ საბუთს, თუ რათ უნდა მოესპოთ მათ აქტიური საარჩევნო უფლება.

### რ. არსენიძე (ს. დ.)

დამფუძნებელი კრების შესახებ, შესაძლოა ძალიან ბევრი საკითხი აღიძრეს და ისინი მუხლობრივი განხილვის დროს გავარკვიოთ.

ძირითადი პრინციპია, რომ ყოველ მოქალაქეს შეეძლოს თავისი სურვილი გამოხატოს და ვინაიდან დამფუძნებელი კრება მხოლოდ ერთხელ შეიკრიბება, ყოველ მოქალაქეს უნდა მიეცეს უფლება თავისი ნების ყოფა გამოხატოს.

ეს არის პრინციპი, რომელსაც იცავდა და იცავს სოც.-დემ. ფრაქცია და ამ პრინციპით იხელმძღვანელებს იგი დებულების განხილვის დროს.

მეორე პრინციპია, რომ ყველა პოლიტიკური მიმდინარეობა წარმოდგენილი იყოს დამფუძნებელ კრებაში.

ეს ორი პრინციპი დაედვა საფუძვლად ამ დებულებას.

ერთი საარჩევნო ოლქის საკითხი წარმოსდგა სწორედ იქიდან, რომ იმ მცირე მიმდინარეობათ, რომელთა ხმები გაფანტულია სხვადასხვა ოლქებში, ეს ხმები არ დაეკარგებიან და მათის შეერთებით შეძლება ექნათ დეპუტატთა მცირე რიცხვი მაინც გაიყვანონ.

ეს არის დემოკრატიზმის პრინციპი. ჩვენ გვსურს, რომ ამ ტრიბუნიდან ხალხმა გაიგოს ყველა აზრები და თავისი გზა გააკვლიოს.

რაც შეეხება ჯარს სამწუხაროა რომ იგი მოკლებული იქნება აქტიურ საარჩევნო უფლებათ, მაგრამ ამ უფლების მინიჭება საიცარ არევ-დარევას შეიტანს მის დაწყობაში. არჩევნებს თან სდევს წინასწარი აგიტაცია და პარტიული ორგანიზაციათა მოწყობა, და ეს ორი მომენტი უთუოდ შინაგან დაშლას შეიტანს მათში. ამისთვის ჩვენ წინააღმდეგნი ვართ აქტიურ უფლების მინიჭებისა და ვემხრობით იურიდიულ კომისის წინადადებას, რომ მათ მხოლოდ პასსიური უფლება მიენიჭოსთ. რაც შეეხება ძალმომრეობას, საარჩევნო კომისიების შედგენის დროს, იგი შეუძლებელია, რადგან იქმნება ახალი აპარატი პარტიათა წარმომადგენლებისაგან, სრულებით თავისუფალი შინაგან საქმეთა სამინისტროს გავლენისაგან.

### ალ. ლომთათიძე (ს. დ.)

უკანასკნელი სიტყვით გამოდის მომხსენებელი ალ. ლომთათიძე, რომელიც უპასუხებს სპ. კედიას მის წინადადების შესახებ რომ საქართველო რამოდენიმე ოლქად იყოს დაყოფილი და ამბობს რომ ეს ცენტრალიზაცია ეროვნებისა ხდება მცირე პარტიების სასარგებლოდ. აგრეთვე უარყოფს იგი ზოგიერთ ორატორების ეჭვს, რომ საშაზრო კომისიების შედგენის დროს რაიმე ძალადობას ექნება ადგილი.

რაც შეეხება ქვეშევრდომობის კანონს, ორატორის აზრით, მას ბევრი ნაკლი აქვს, რომელიც შესწორებული იქნება.

## მუხლობრივი განხილვა.

პარლამენტი გადადის დებულების მუხლობრივ განხილვაზედ. ერთხმად იქნა მიღებული 1-ლი მუხლი, შესახებ ოთხ ფორმულიანი არჩევნებისა პროპორციულ საფუძველზედ.

## დეპუტატების რიცხვი.

კამათს იწვევს მეორე მუხლი რომელშიდაც მოხსენებულია დამფუძნებელი კრების წევრთა რიცხვი. **შალვა მიქელაძე** (ს. ფ.) საჭიროდ სცნობს კომისიის მიერ წარმოდგენილი რიცხვი გადიდებულ იქნეს 150-მდე, რადგან რაც მეტი იქნებიან წარმომადგენლები მით უფრო ახლო იქნებიან ისინი ხალხთან.

### სპირიდონ კედია

აქ თქვენ მოისმინეთ მომხსენებლის მოსაზრებანი, თუ რატომ უნდა დარჩეს ერთი საარჩევნო ოლქი. მისი მოსაზრების ერთადერთი საფუძველი გახლავთ, რომ ყოველ პარტიას რაც გინდა მცირე და უმნიშვნელო იყოს მიეცეს წარმომადგენლობის უფლება. მე მინდა სწორეთ ამის წინააღმდეგ ვილაპარაკო.

როდესაც დეპუტატები არჩეულნი არიან და პარლამენტი მოქმედებას იწყებს, აქ უკვე ყველაფერი სწყდება მაჟორიტარული წესით, ე. ი. ხმის უმეტესობით.

მაგრამ მე წინააღმდეგი ვარ, რომ ამ წესით საკითხის გადაჭრაში გადამწყვეტი როლი ითამაშოს უმნიშვნელო პარტიამ, ორიოდე მონავარდე ხმამ.

პარლამენტის ცხოვრებაში ხშირია შემთხვევა როდესაც ერთი ხმაც კი გადამწყვეტ როლს თამაშობს. ერთის ხმით დამტკიცდა საფრანგეთში რესპუბლიკური წყობილების შემოღების საკითხი. ასეთს შემთხვევაში ხდება კანონით პირდაპირი სპეკულიაცია.

კანონი უნდა გაიყვანოს და დაამკვიდროს იმ მიმდინარეობამ, რომელსაც ხალხში გავლენა აქვს.

პირადათ მე და ის ფრაქცია, რორომელსაც მე წარმოვადგენ, სრულებით ხელს ავიღებდით იმ სურვილზე, რომელიც ბ-ნმა არსენიძემ გამოთქვა, ოღონდ დამკვიდრდეს უფრო მტკიცე და ძალაშეწონილი წესი კანონის დებისა.

მეორე მოსაზრება საქართველოს რამოდენიმე ოლქად დაყოფისათვის ის გახლავთ, რომ საქართველო შესდგება სხვადასხვა კუთხისაგან, რომელთაც თავისი ისტორიული სახე ჰქონიათ. აქ კულტურაც, ისტორიაც და ზნე-ჩვეულება თავისებურობას წარმოადგენს და დამფუძნებელ კრებაში იგი წარმოდგენილი უნდა იქმნეს.

საქართველოს ეს სხვადასხვა ნაწილი ეკონომიურ სხვადსხვაობასაც წარმოადგენს, და, როგორც პრესაში სამართლიანად იყო გამოთქმული, თუ უმრავლესობა რომელიმე კუთხისა იქმნა, მეორე კუთხის ინტერესები გაუგებარი დარჩება მისთვის.

ყველა ეს მოსაზრებანი იმდენად მნიშვნელოვანად მიმაჩნია, რომ შეუძლებელია მათი გაბათილება. მომხსენებლის მოსაზრებით დამფუძნებელ კრებაში საქართველო უნდა იყოს წარმოდგენილი თვისი მრავალმხრიობით და სხივოსნობით. ამ მუხლში მოხსენებულია, დამფუძნებელ კრების წევრთა რიცხვი ასოცდაათი. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ აქ შემოტანილ შესწორებათა ამ რიცხვის გამრავლების შესახებ და მხარს უჭერთ კომისიის მიერ პირველად მიღებულ რიცხვს—120-ს.

**რ. გაბაშვილი** წინააღმდეგია საქართველოს საარჩევნო ოლქებად დაყოფვისა და მხარს უჭერს კომისიის თვალსაზრის.

**ალ. ლომთათიძე** იცავს კომისიის წინადადებას.

**კენჭის ყრა.**

კენჭის ყრით როგორც წინადადება სპ. კედიასი, რომ საქართველო რამოდენიმე საარჩევნო ოლქად დაიყოს, ისე წინადადება შალვა მიქელაძისა დეპუტატთა რიცხვის გამრავლების შესახებ უარყოფილ იქმნა.

მიღებულ იქმნა მე-2 მუხლი, თანახმად კომისიის წინადადებისა ე. ი. ერთი საარჩევნო ოლქი და 130 დეპუტატი.

## საარჩევნო უფლება.

**მუხლი მე-3:** დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ ორივე სქესის მოქალაქეთ, თუ მათ არჩევნების დღისთვის 19 წელი შეუსრულდათ.

სამხედრო სამსახურში მყოფნი მხოლოდ პასიური უფლებით სარგებლობენ.

### სპირიდონ კედია

ჩვენ წინააღმდეგი ვართ, რომ 19 წლის ყმაწვილს უფლება ჰქონდეს არჩევნებში აქტიური მონაწილეობის მიღებისა. თუ ჩვენ ანგარიშს გაუწევთ სხვა სახელმწიფოებში მიღებულ წესებს, მაშინ საბუთი არ გვექნება ესეთი მცირე წლოვანების დაკანონებისა.

როგორც რესპუბლიკანურ ქვეყნებში, აგრეთვე კონსტიტუციურ მონარქიებშიც, წლოვანობა საერთოდ უფრო მაღალია. შევჩერდეთ 21 წელზე. მაგალითად, შვეიცარიაში მიღებულია 21 წელი, არგენტინის რესპუბლიკაში 25 წელი, საფრანგეთში 21 წელი.

საერთოდ მონარქიულ ქვეყნებში 25 წელი სჭარბობს.

აი ზოგი ამ ქვეყნების კონსტიტუცია და საკანონმდებლო ორგანოები მოქმედებდა 100 წელი და ზოგისა რამდენიმე ათეული წელიწადი, ხოლო ყველას, ყოველ შემთხვევაში, უფრო გძელი ისტორია აქვთ, ვიდრე საქართველოს პარლამენტს და საკონსტიტუციო პრაქტიკას.

ამ კონსტიტუციონური ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მათი პარლამენტში წლოვანების შემცირებისკენ არ იხრებიან.

ვთქვათ მივიღეთ 19 წელი. ჩვენში არსებული კანონების ძალით ასეთი წლოვანების ყმაწვილს უფლება არა აქვს ხელი მოაწეროს თამასუქს და არც იმის უფლება რომ ბანკიდან თავის ფული გამოიტანოს. და თქვენ გინდათ იგი აქ მოიყვანოთ და კანონები აწერიოთ.

მომხსენებლის მოხსენება, რომ ქართველმა ხალხმა დიდი პოლიტიკური აღზრდა გაიარა, როგორც საზოგადოთ ქართველებს გვჩვევია გადაჭარბებათ მიმაჩნია, მე მგონია, რომ ქართველი ხალხი, გაცილებით უფრო ნაკლებ არის პოლიტიკურად მომზადებული, ვიდრე იმ ქვეყნების, სადაც ესეთი წლოვანობა შეუძლებლად იცვნეს და არ მესმის რატომ მაინცდამაინც ჩვენ უნდა შემოვიღოთ ისეთი მცირე წლოვანობა.

**ი. გობეჩია** (ს.-რ.) ითხოვს, რომ ჯარს მიეცეს როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება.

**მომხსენებელი ალ. ლომთათიძე** იცავს დებულების პროექტს.

**სოც.-დემოკრატებს** შემოაქვთ შესწორება, რომ აქტიური საარჩევნო უფლება მიეცესთ იმათ, ვისაც არჩევნების დღისთვის 20 წელი შეუსრულდებათ.

**კენჭის ყრა**

კენჭის ყრით მიღებულ იქმნა დებულების მე-3-მე მუხლი **სოც.-დემ.** შესწორებით. ე. ი. ჯარში მყოფ მიეცად მხოლოდ პასსიური საარჩევნო უფლება და მოქალაქეთათვის წლოვანების მინიმუმად დაწესდა 20 წელი.

**რ. არსენიძის** წინადადებით კამათი გადიდო ხუთშაბათისთვის, რა დღისთვისაც დაინიშნა პარლამენტის საგანგებო სხდომა ამ დებულების განხილვის დასასრულებლად.

## შეცდომის გასწორება

წარსულ სხდომის ანგარიში **სპ. კედიას** სიტყვაში შემდეგი შეცდომებია, რომელიც აზრს გაუგებრად ხდიან.

მე-2 სტრიქონში სწერია: მთელი საუკუნის **ჯაჭვით,** უნდა იყოს: მთელი საუკუნის **ტანჯვით.**

მე-12 სტრიქონში ზევიდან: სწერია: **დაკავშირებაში.** უნდა იყოს დამკვიდრებაში.

მე-13 სტრიქონში ქვევიდან: სწერია: **კარში,** უნდა იყოს **ერში.**

მე-20 სტრიქონში ქვევიდან: სწერია: **გამოკვების,** უნდა იყოს **გამარჯვების.**

# ქრონიკა

## თბილისი.

**გზათა მიმოსვლის სამინისტროს** მოუვიდა შემდეგი დეპეშა სად. ხაშურის ტელეგრაფისტებისგან: ვშიმშილობთ, 2 თვეა ჯამაგირი არ მიგვიღია. ამ სიძვირის დროს საშუალება არა გვაქვს ცხოვრებისა. გთხოვთ დაუყოვნებლივ მოახდინოთ განკარგულება, რომ ჯამაგირი მოგვცენ; წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაობის გაგრძელება არ შეგვიძლიან.

**არარატის რესპუბლიკის აგენტები.** ხმებია, თითქო ადერბეიჯანის სომხებს შორის, ყაზახის მაზრაში, არარატის რესპუბლიკის აგენტები მობილიზაციას ახდენდენ.

**ოსმალთა ეშელონები.** ღვინობისთვის 20-ამდე ადერბეიჯანიდან ბათუმისკენ ოსმალების 7 ეშელონმა გაიარა ხოლო ბათუმიდან განჯაში ინსტრუქტორთა ორმა ეშელონმა.

**ტეხნიკურ-ქიმიურ ლაბორატორიის ჩხრეკა.** 24 ღვინობისთვეს საქციზო ინსპექტორმა გაჩხრიკა ტეხნიკურ-ქიმიური ლაბორატორია, რომელიც იმყოფება ავლაბარში, ლაზარეს ქუჩაზე და აღმოაჩინა, მალულად დამზადებული კონიაკი. გამოძიება სწარმოებს.

**ამიერ-კავ. ბანკის აქციები.** როგორც გვატყობინებენ, ამიერ-კავკასიის ბანკის აქციების მეორე გამოცემის ხელის მოწერის საქმე კარგად მიდის. ზოგიერთ მოწყვეტილ კუთხეებს გარდა ყველა ადგილებიდან მოდის ცნობა, რომ როგორც ძველი აქციონერები, ისე ახალი ხელის მომწერლები ბლომად აწერენ ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ბევრი დრო დარჩა ხელის მოწერის გათავებამდე, უკვე ნახევარ მილიონზე მეტი ფული შემოსულა.

## კომუნისტების შიმშილობა მეტეხის ციხეში

კომუნისტების მიერ შიმშილობის გამოცხადების მე-9 დღეს სენატორ ნ. სოკოლოვის საშუალებით მთავრობის თავმჯდომარემ გამოუცხადა, რომ მათ გაანთავისუფლებენ და საქართველოდან გადაასახლებენ. ღვინობისთვის 27 კომუნისტებმა შიმშილობა შესწყვიტეს.

## სომეხთა ცხოვრება ბაქოში

ბაქოდან ჩამოსულთა გადმოცემით იქ ისევ განაგრძობენ სომხების დევნას. სომხებს აპატიმრებენ, ძალით ამუშავებენ მძიმე სამუშაოზე, აშევენ და მერე დასუსტებულთ ხოცვენ. ამ დღეებში იქ დააპატიმრეს ადგილობრივი მილიონერი თუმანიანცი, რომელსაც მძიმე და ბინძურ საქმეზე ამუშავებენ. თუმანიანცის კანტორის მოსამსახურეებმა ჰკითხეს ნაცნობ თათრებს თუ რა ბედი მოელის თუმანიანცს და პასუხად ის მიიღეს, რომ მას იმდენს ამუშავებენ, მინამ მოკვდება დასუსტებული.

სალიანის ყაზარმები სავსეა ახალგაზრდა სომხების ტყვეებით, მათი რიცხვი 4000-მდეა და საშინელ პირობებში ჰყავთ. როგორც ირკვევა დატუსაღებულები ღამ-ღამობით ჯგუფ-ჯგუფად გამოყავთ და უმოწყალოდ ხვრეტენ. ქალაქში იღება მხოლოდ თათრების, რუსების და ებრაელების დუქნები. სომხებისა კი აქამდის დაკეტილია, რადგან ისინი გარედ გამოსვლას ვერ ჰბედავენ.

**ანგარიშის გასწორება სომხებთან.**

სად. თაუზიდან 25 ღვინობისთვეს ჩამოსულთა გადმოცემით მთელს რკინის გზაზე სად. პოილოდან განჯამდის მატარებლებიდან სისტემატიურად იკარგებიან სომეხი მგზავრები. ვიღაც უცნობი პირები, არა სჩანს ვისი რწმუნებულებით, სადგურებზე სჩხრეკენ პიროვნებების საბუთებს და უმთავრესად სომეხ მგზავრებისას, ვითომ ეჭვი შეაქვთ საბუთების სინამდვილეში და მგზავრები მატარებლიდამ გადმოჰყავთ და შემდეგ სად მიჰყავთ ისინი არ იციან. როგორც ბოლოს ირკვევა, მათ ხოცდნენ. ასე მაგალ.: სად ძეგამზე მოჰკლეს 35 სომეხი, სად. თაუზზე—7, სად. აღსტაფაში უკვალოდ დაიკარგა 4 სომეხი, სად. პოილოზე—8 სომეხი ჩამოსხეს და დღემდის მათი კვალი არა სჩანს. (კავ. სლ.)

**სომხის ტყვეების დაბრუნება.**

ხალილ-ფაშამ აცნობა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოს მთავრობასთან არ. ჯამალიანს, რომ ერზერუმში მყოფი სომეხი ტყვე აფიცრები და ჯარისკაცები უკვე განთავისუფლეს და ერევანში დააბრუნეს.

**აფიცერთა კურსები ერევანში.**

სომხეთის ლაშქრის უფროსის განკარგულებით ერევანში იხსნება აფიცერთა 4 თვიანი კურსები, რომელზედაც პირველად მიიღებენ 69 კაცს.

# ე რ ო ბ ა.

**სამაზრო ერობათა ყრილობა.** ქუთაისის და ახალსენაკის სამაზრო ერობათა ინიციატივით ამ დღეებში თბილისში შესდგება საქართველოს სამაზრო ერობათა ყრილობა.

**არჩევნები დუშეთის მაზრაში.** დუშეთის მაზრაში საერობო არჩევნები გიორგობისთვის 10 მოხდება.

## ქართული მრეწველობა.

მომარაგების მთავარ კომიტეტმა 2 ღვინობისთვეს დაადგინა: ის საპონი რომელიც კეთდებ აკ. ხოშტარიას მიერ იჯარით აღებულ კომიტეტის ქარხანაში მიეყიდოს კოოპერატივებს და ქალაქის სამმართველოებს გირვანქა ხუთ მანეთად იმ პირობით, რომ ამ დაწესებულებებმა ეს საპონი გაიტანონ ბაზარზე პროცენტის დამატებით აღნიშნულ ფაზე და რამდენადაც შესაძლებელია ყოველი ღონე იღონონ, რომ საპონი გაიცვალოს პურზე.

იმავე დღეს კომიტეტმა გადასწყვიტა მიჰყიდოს აგრეთვე კოოპერატივებს და ქალაქის სამმართველოებს ზემო აღნიშნულ პირობებით ასი ათასი წყვილი ნარმის საცვალი (თეთრეული).

—

დიდუბეში დაარსდა ახალი ქიმიური ქარხანა სახელწოდებით „ატომი“. დამაარსებელნი არიან მადნის ინჟენერი სვიმონ ბელეცკი და ინჟენერ ტეხნოლოგი ხოლევინსკი. ქარხანა ამზადებს შაბიამანს, ქიმიურად წმინდა სიმჟავეს, სააკუმულიატორო სიმჟავეს, ნიშადურს და მის მარილს, მწვანე საპონს, მღებავსა და ტყავის დამმუშავებელ მცენარეულ ექსტრაქტებს, ქლორის კირს და სხვა.

—

ამას წინად ტფილისში დაარსებულმა სავაჭრო და საფაბრიკო ამხანაგობამ „ბელაია რუს“ მიჰმართა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს შუამდგომლობით დახმარება გაუწიოს მას ტფილისში ქიმიური ქარხნის დაარსებისათვის. ამ ქარხნის დანიშნულება იქნება სხვა და სხვა ქონის დამუშავება და ნაცარ-ნუცარის გამოყენება საპნის, სანთლის და მარგარინის გასაკეთებლად. ამხანაგობას სურს იჯარით აიღოს ან იყიდოს ნავთლუღში ტყავის ქარხანა, რომელიც ეკუთვნოდა საეტაპო და სატრანსპორტო განყოფილებას. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო ნაწილმა მხარი დაუჭირა ამ თხოვნას და მიჰმართა მომარაგების კომიტეტს რჩევით, რომ ეს ქარხანა გარდაეცეს საექსპლოატაციოდ ამხანაგობა „ბელაია რუსს“.

**საპნის ქარხნის დათვალიერება.**

ვაჭრობის განყოფილების დავალებით ინჟენერთა ერთმა ჯგუფმა დაათვალიერა ხოშტარიას საპნის ქარხანა, რომელიც წინად საერობო კავშირის ხელში იყო. ქარხანა დღეში 400 ფუთ სარეცხის საპონს იძლევა და ეწყობა ხელის საპნის დამზადების საქმე. თანახმად დადებულ ხელშეკრულებისა ქარხნიდან საპონი სასრსათო უწყებას ჰბარდება ფუთი 63 მან. და 91 კ.

## სომეხ-ქართველთა კონფლიქტისათვის

საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა ერთსულოვნად ღირსეულად შეაფასა მომენტის სიმძიმე და გადასწყვიტა სომეხ-ქართველთა ინციდენტი უსისხლოდ ამოსწუროს, ვიდრე საბედისწერო სასწორზე ომში ნაცადს მახვილს დასდებდეს.

ჩვენ არ ვიცით, რას ჰფიქრობს მეორე მხარე—სომხობა. დღემდე მხოლოდ ის ვიცით, რომ დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა იგი საკუთარს კანში არ ეტევა და ობობას ქსელებს აბამს. ჩვენ ვიცით, სიტყვიერად რა სიკეთეს სთესდა იგი მეზობელ ერთა წინაშე, რუსეთში, საფრანგეთ-ინგლის-ამერიკაში, თვით გერმანიაშიც კი, როდესაც ჩვენსა და გერმანელთა შორის მეგობრობის ჯაჭვი იჭედებოდა. ამ ბოლო დროსაც როდესაც დასავლეთ ასპარეზზე მებრძოლ სახელმწიფოთა ძალოვნება სწორწონობაზე გადავიდა, სომხობა ფაქტიურად ერთგვარ ატოკებას მიეცა და გაგულისებული ამოწვდილ მახვილს ეთამაშება თუმცა ყველანი ზავისკენ მიისწრაფვიან. თუ ბაქოში ნაცად ინგლისელებმა არა, ჩვენ, ქართველებმა, დიდი ხანია ვიცით სომხეთა ჯარის სიმამაცე. დიახ, ეს ისე კარგად ვიცით, როგორც მათი დიპლომატიის უნარი, რომელსაც თანამედროვე კულტუროსნობისა არა სცხია რა. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ვიდრე შეიარაღებულს თავდასხმას მოახდენდა, ხომ უნდა ყოფილიყო ერთგვარი გაფრთხილება, ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ ჩვენი პარლამენტის სომეხ წარმომადგენელს ბ-ნ ტერ-ავეტისიანცს არ წამოსცდებოდა გულუბრყვილო განცხადება, რომ სომხების ეროვნული საბჭო დღე და ღამ თათბირობს, რომ ერთგულად დაეხმაროს თქვენს მთავრობას აქ, და **ჩვენსას** იქ, ერევანშიო! ესე იგი, ღმერთი და მამონი ერთად, იდიდება ამ ერისაგან! ამას პოლიტიკაში ორმაგი ბუჰალტერია ჰქვიან.

მაგრამ ქართველი ერი კვლავ სიდარბაისლეს არჩევს. დამსხმელთადმი ჩვენმა მთავრობამ დიდი სულგრძელობა გამოიჩინა, ეს სულგრძელობა და დარბაისლური ნაბიჯები მთელის არსებით ადასტურებს მხოლოდ ერთს რამეს: ზავის სურვილს! ქართველმა დემოკრატიამ ამ მხრივ სომხეთა წინაშე თავის მოვალეობა მოიხადა. ახლა სომხის ერზეა დამოკიდებული რას ისურვებს: აგრესიულ სომხების ალაგმვას თუ ომს. ალტერნატივა მარტივია, მარტივი და მეტად მკაფიო და სასწრაფო უნდა იყოს პასუხი სიტყვით და მოქმედებითაც...

**დ. კასრაძე.**

## ჩემი დღიური.

XV

**სოსო ყავრიშვილის ხსოვნას**

ჩვენ ბედი არა გვაქვს. გვშორდებიან მწერლები, ერთგული საზოგადოს წევრები და სხვ. მაგრამ გული უფრო იჩაგრება როცა კუბოში ვხედავთ ახალგაზდა ადამიანს; ამ ორ კვირის წინ მცირე ავათმყოფობის შემდეგ ხელიდან გამოგვეცალა სოსო ყავრიშვილი, სამაგალითო მამულიშვილ, და მოსიყვარულე ამხანაგი.

სოსომ საუკეთესოთ გაათავა პირველი გიმნაზია და შემდეგ შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში სადაც გამოჩენილ, შრომის მოყვარე სტუდენტად ითვლებოდა. მესამე კურსიდან ის შევიდა ჯარში სამშობლოს დასაცავად.

იმ სამშობლოს, სადაც შეუგნებელმა ადამიანებმა სოსო ყავრიშვილს, როგორც ბევრს სხვებს, გაუხრა, აუკლს მამულ-დედული...

მაგრამ ფილოსოფიურად უყურებდა თავის პირად უბედურებას. დუშეთის და მუხრანის მცხოვრებლები სიყვარულით იგონებენ განსვენებულის სიტყვებს, როცა სოსო მათთან დასამშვიდებლათ იყო გაგზავნილი.—იმის სულს ვენაცვალეთ!— იძახიან — ახალგაზდა იყო, მაგრამ მოსიყვარულე მამასავით, გვარიგებდა—ნუ ღვრით სისხლსაო, გლეხი რა არის, თავადი, ან აზნაურიო. ყველას მიწა და ლუკმა პური უნდაო! მთელი ქვეყანა გადაბრუნდაო, თქვენ გინდათო რომ ერთბაშათ დალაგდესო? მოთმინება იქონიეთ ყველას თავისი მიეცემაო!

ღმერთმა მისცეს მოთმინება მის მშობელსა, რომ ამისთანა შვილის უდრო უდროთ სიკვდილი აიტანოს.

**დ. ვედრებისელი.**

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს).

## ომი

### დასავლეთის ასპარეზი

**გერმანული რადიო.** 28 ღვინ. ვაშინგტონი. შვეიცარიის საელჩო. გერმანიის მთავრობის დავალებით, გთხოვთ, ეს ნოტა გადასცეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას: „გერმანიის მთავრობამ საგულისხმოდ მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის პასუხი. პრეზიდენტს მოეხსენება იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც მოხდა და კვლავაც ხდება გერმანიის კონსტიტუციონურ ცხოვრებაში. სამშვიდობო მოლაპარაკებას უხელმძღვანელებს სახალხო მთავრობა, რომელსაც ფაქტიურადაც და კონსტიტუციის ძალითაც ხელთუპყრია მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება. მასვე ჰმორჩილებს სამხედრო გამგეობა. ჩვენ ეხლავ მოველით დროებით მორიგების ჩამოგდებას, რომელიც მიგვიყვანს სამართლიან ზავის დამყარებამდე იმ სახით, როგორც ეს დასახული აქვს პრეზიდენტ ვილსონს თავის დეკლარაციებში. ბერლინი, 27 ღვინ. 1818 წ. საგარეო საქმეთა სტატსსეკრეტარი **სილვი**“.

**ვენა,** 28 ღვინ. საგარეო საქმეთა მინისტრმა გუშინ დაავალა ავსტრია-უნგრეთის სტოკჰოლმელ ელჩს სთხოვოს შვეციის მთავრობას, რათა მან გადასცეს შეერთებულ შტატებს 18 ღვინ. ნოტის პასუხად შემდეგი: „პრეზიდენტ ვილსონის მიერ ავსტრია-უნგრეთის მიმართ 18 ღვინ. გამოგზავნილ ნოტის პასუხად გაუწყებთ, რომ თანახმა ვართ ვილსონის გადაწყვეტილებაზე დაიწყოს ავსტრია-უნგრეთთან სეპარატიული მოლაპარაკება. დროე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითი მორიგებისა და ზავის ჩამოგდების შესახებ ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობა გაუწყებთ, რომ სავსებით ეთანხმება როგორც წინა, ისე უკანასკნელ ნოტაში ვილსონის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ავსტრია-ჰუნგრეთის ხალხთა უფლებაზე განსაკუთრებით ჩეხო-სლოვაკებისა და სამხრეთ სლოვიანთა შესახებ. ამ რიგად მას შემდეგ, რაც ავსტრია-ჰუნგრეთმა მიიღო პირობის ყველა მუხლი, რომლისგან დამოკიდებულია ზავსა და დროებითი მორიგებაზედ მოლაპარაკების დაწყება ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობის აზრით მოლაპარაკების დაწყებას წინ არაფერი ეღობება. ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობა მზათაა არ დაუცადოს დანარჩენ მოლაპარაკებათა შედეგს და დაიწყოს მოლაპარაკება მოწინააღმდეგე სახელმწიფოებთან დროებითი ზავის ჩამოსაგდებათ ავსტრია-ჰუნგრეთის ყველა ფრონტზე და სთხოვს პრეზიდენტ ვილსონს შესაფერი ზომები მიიღოს.

**ჰუსარეკის სამინისტროს გადადგომა.**

**ვენა.** იმპერატორმა მიიღო ჰუსარეკის სამინისტროს გადადგომა. მინისტრ-პრეზიდენტათ დაინიშნა ლამაში.

**ლოიდ ჯორჯი და ბალფური საფრანგეთში.**

**ლონდონი.** ლოიდ-ჯორჯი და ბალფური საზღვაო და ხმელეთის აფიცერთა თანხლებით საფრანგეთს გაემგზავრენ.

**მოკავშირენი და გერმანია ზავზე.**

რეიტერის სააგენტოს ცნობით, მოკავშირენი არ გამოაქვეყნებენ ზავის პირობებს იმ დრომდე, სანამ გერმანია არ გაგზავნის პასუხს ვილსონის უკანასკნელ ნოტაზე.

**ბერლინი.** 29 ღვინ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ლისის დაბლობში, ოლსენთან, ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. მტრის ძლიერი რაზმები კონდის ჩრდილოეთ-დასავლეთით შეეცადა დაეპირა შელდის აღმოსავლეთი ნაპირი, მაგრამ კონტრიერიშით მტერი მოვიგერიეთ. შელდის სამხრეთით ინგლისელთა ძლიერ რაზმს იერიში მოჰქონდა ჩვენ პოზიციებზე. არტთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მტერი განაგრძობს მშვიდობიან დაბების განადგურებას. შელდის დაბლობის აღმოსავლეთით მტერი უშენს ვალენსიენსაც.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. უაზის არხის პირდაპირ, ერტრესა და ლეველის შუა ფრანგების იერიშები მოვიგერიერ არტილერიის საშვალებით. მცირე რაზმი, რომელიც არხს აქეთ შემოიჭრა, უკუვაქციეთ ჩვენი კონტრ იერიშით.

ჰალვიცის ლაშქარი. იერისა და მაასის შუა დროგამოშვებითი საარტილერიო ბრძოლაა. უკანასკნელად მტრის 49 ჰაეროპლანი და 3 ბალონი ჩამოვაგდეთ.

**აღმოსავლეთის ასპარეზი**

**სტამბოლი.** 29 ღვინ. ღირსაღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა.

**ბერლინი,** 29 ღვინ. საღამოს სამხედრო ცნობა. ლისის სამხრეთით და ლეკესნუას სამხრეთით დრო გამოშვებით ბრძოლა სწარმოებს. ნიზი-ლეკონტო და ენის შუა, ნაშუადღევს ჩვენ ფრანგების იერიში მოვიგერიეთ.

**ვენა,** 29 ღვ. სამხედრო ცნობა. აზოლონე-პერტიკის და სოლეაროლოს ადგილებში დიდი ბრძოლები არ ყოფილა. მონტე-სპინუჩიას ოლქში ჩვენი ჯარი კონტრიერიშით მტრის პოზიციებში შეიჭრა. ალონობაკანთან მტერმა ჩვენი პოზიცია შეავიწროვა. მტრის განახლებული იერიშები მოვიგერიეთ და დიდი ზიანი მივაყენეთ. პიავასთან ბრძოლა გრძელდება აქ მტერმა დააგროვა დიდძალი ჯარი და არტილერიის ცეცხლის დახმარებით განაგრძობს შეტევას. ვალდობიადეისთან, მურაგოს ჩრდილოეთით სერავმოს პიავის ხიდის ახლოს, სუსპანთან, ტეზესთან და პოდოლი-პიავესთან ძლიერი ბრძოლა სწმრმოებდა, შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარმა თუმცა შესძლო ჩვენი პოზიციის გარღვევა, მაგრამ უამისოთაც ჩვენ გვქონდა გადაწყვეტილი გადაგვეტანა ჩვენი ხაზები იმ სექტორში, სადაც უფრო ძლიერი იერიშები სწარმოებდა. ეს გადაჯგუფება მოვახდინეთ ღამით.

**ბალკანეთის ასპარეზი.** ალბინიაში ჩვენმა ჯარმა ალესიო დასცალა. დრინის საზღვართან სიწყნარეა. სერბიაში ჩვენი უკანდახევა უბრძოლველათ სწარმოებს, მტერმა პალანკას მიაღწია.

**გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი.** გიზის დასავლეთით მტერი შეეცადა იერიშით წამოსვლას, მაგრამ ჩვენი ცეცხლით შევაჩერეთ. ლაონ-შარის გზატკეცილის ორივე მხარეზე სომას სექტორთან პოზნანის და დასავლეთ პრუსიის პოლკებმა დილით ადრე მოიგერიეს მტრის ძლიერი იერიშები.

**მოსკოვი,** 29 ღვ. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.

**ბულგარეთი,** სოფია, 21 ღვ. მთავრობის ჯარის ცდა. დაამარცხოს რადომირსკის (?) ბოლშევიკური რესპუბლიკა, უნაყოფოა. სტამბულინსკის მომხრენი მედგრად იცავენ თავს.

**მალინოვის კაბინეტი**

**სოფია,** 36 ღვ. შეთანხმების სახელმწიფოთა დახმარებით საბოლოოთ შესდგა ბულგარეთში მალინოვის კაბინეტი.

**ფინეთი და შვეციის მუშები**

**სტოკჰოლმი,** 27 ღვ. შვეციის მუშები ბოიკოტით დაემუქრენ ფინეთს, რასაც შედეგათ იალოსის განთავისუფლება მოყვა:

**ებრაელთა დარბევა**

**პოლონეთი. ვარშავა,** 28 ღვ. ებრაელებსა და ქრისტიან მუშებს შორის შეტაკება მოხდა. შეტაკებაში მონაწილეობას იღებდა 2000 კაცი, ებრაელების სახლები და მაღაზიები დაარბიეს.

**პოლონეთის ახალი კაბინეთი.**

პოლონეთის ახალ კაბინეთში შედიან პაციფისტები, რომელნიც ცენტრალურ სახელმწიფოებთან კავშირის წინააღმდეგი არიან.

**იტალია.** ბერნი, 28 ღვ. იტალია საზავო მოლაპარაკების დაწყებას გაურბის, რადგან შიშობს, რომ მას შედეგად მოყვება მოკავშირეს სახელმწიფოთა კავშირის დარღვევა.

**საფრანგეთი.** ბერნი, 28 ღვ. პარიზიდან იუწყებიან: კლემანსო წინააღმდეგია მოკავშირებმა საზავა მოლაპარაკება დაიწონ... (შემდეგი დამახინჯებულია).

**მოსკოვი.** 28 ღვ. უქმე დღეების მოსპობა. იუსტიციის სახალხო კომისარიატში იმუშავებენ პროექტს ყველა უქმე დღეების მოსპობის შესახებ. ყოველი მეშვიდე დღე მოსვენების დღეთ ჩაითვლება; შემოღებული იქნება მხოლოდ „საზოგადოებრივ მნიშნელობის“ რამოდენიმე სადღესასწაულო დღე. მაგალითად: 9 იანვარი, 1 მაისი და 25 ღვინობისთვეს.

**სესხის გაუქმება.** სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დააკმაყოფილოს იმ გაუქმებულ სესხის მეპატრონენი, რომელთაც 10000 მ. ნაკლები აქვთ შეტანილი.

28 ოქტ. „კიევსკაია მისლ“-ის ცნობით, სადგურ უპეჩის უბანში ბოლშევიკებმა დიდძალი ჯარი დააგროვეს კლინცის და სტაროდუბის უბანში აჯანყებული რაზმი. თავს დაესხა უკრაინა-გერმანიის საზღვარს.

კიევში თეთრგვარდიელების ტერორია. ქალაქი თეთრგვარდიელების, სამხრეთ არმიის ნაწილს და ოფიცერთა რაზმების მფლობელობის ქვეშ იმყოფება. ისინი ატუსაღებენ პროფესიონალურ კავშირების თანამშრომლებს და სიკვდილით სჯიან.

# უცხოეთის ამბები

**პირობის გაუქმება ბოლშევიკებთან.**

რადგან სამშვიდობო კონფერენციის მუშაობა შესწყდა და მთავრობის წევრებიც სასურსათო სამინისტროსგან უკმაყოფილონი არიან, რადგანაც მან საბჭოს რუსეთში 800,000 ფუთი პურის გატანის ნება დართო, რაც სრულიად არ შეეფერება უკრაინის ინტერესებს, ამის გამო პურის გატანის პირობა გაუქმდება.

**გარდამწყვეტი ბრძოლა.**

კლემანსოს ორგანო „l' Homme libre“ აცხადებს, რომ გარდამწყვეტი ბრძოლები 1919 წლის გაზაფხულზე დაიწყებაო. იმ დროისათვის ფოშის განკარგულებაში ამერიკელების 3 მილიონი ლაშქარი იქნებაო.

**ა. ი. გუჩკოვის სიკვდილის უარყოფა**

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის ცნობა გუჩკოვის მოკვლის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება. სრულიად სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ა. ი. გუჩკოვი ამ ჟამად ცოცხლია. ამ მოკლე ხანში მისგან კიევში წერილი მიუღიათ.

**ლენინი მომხდარ ამბების შესახებ.**

მოსკოვის საბჭოსადმი მიმართულ წერილში ლენინი სწერს: ახლოვდება დრო, როდესაც გარემოება მოითხოვს ჩვენგან დავეხმაროთ გერმანიის განთავისუფლებულ ხალხს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. შემდეგ ლენინი წინადადებას იძლევა დაუმზადონ გერმანელ მუშებს პური იმ შემთხვევისათვის თუ მათ გამანთავისუფლებელი ბრძოლა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს, საჭიროთ სთვლის აგრეთვე პროლეტარიატის წითელი ლაშქრის სამ-მილიონამდის გადიდებას.

ამ უკანასკნელ დროს მსოფლიო ისტორიამ ძალიან ჩქარი ნაბიჯით იწყო სიარული. მთელი ქვეყნის მუშების რევოლუციაში. შესაძლებელია სწრაფი ცვლილებები მოხდეს. შესაძლებელია გერმანიის და ინგლის-საფრანგეთის კავშირმა საბჭოს მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქროს. დასასრულ ლენინი მშრომელ მასას მოუწოდებს მსოფლიო რევოლუციის დროშისაკენ.

**ყაზანის საშინელება.**

„ბრიანელ ანარქისტის“ გადმოცემით ყაზანის დაცემის შემდეგ სამი დღის განმავლობაში საშინელება არ მიჩუმებულა. ჯგუფ-ჯგუფად სლოვაკების მომხრეებს იჭერდენ ქუჩებში, ძებდენ სახლებში, მიჰყავდათ ჯგუფ-ჯგუფად მდინარის პირად და ხვრეტდნენ ვინც ტყვიას გადურჩებოდა, მათ ხიშტით და თავის კონდახებით ჰხოცავდნენ, არ ზოგავდნ არც ენ ქალებს და არც ბავშებს.

ყაზანის ორი დღის განმავლობაში ცეცხლი ჰქონდა მოდებული და ეხლა ნანგრევებს-ღა წარმოადგენს.

**სისხლიანი პური.**

მოსკოვიდან იტყობინებიან, რომ სასურსათო კომისარიატმა დაამტკიცა პროექტი, რომლითაც უნდა ისარგებლონ და გამოიყენონ სისხლი პურის ცხობის დროს. სისხლ გარეული ნამცხვარი პური 80 % მატულობს და ამავე დროს სისხლ ნარევი პური ძალიან ნოყიერია.

**ბოლშევიკების წასვლა.**

პეტროგრადიდან იტყობინებიან, რომ ინგლის-სერბიელების ჯარის მეოხებით ბოლშევიკებმა ჩერეპიცის რაიონისკენ დაიხიეს. საბჭოს ჯარები ეხლა იბრძვიან შექსნის მიდამოებში ორნოსთან.

# საქციზო მოხელეთა კრება

6 ღვინობისთვეს საქციზო სამმართველოს დარბაზში მოწვეული იქმნა ამავე დაწესებულების მოხელეთა წარმომადგენლები, რომლებმაც გამართეს კრება. თავმჯდომარედ აირჩიეს ბ. ღვთისავრიშვილი და მდივნად ბ. ოდიშარია.

ბ. ღვთისავრიშვილმა დაახასიათა მოხელეთა ნივთიერად დაქვეითებული ცხოვრება, კრებას ურჩია დაეარსებინა დედა-ქალაქში საქციზო მოხელეთა საბჭო, რომელიც შეთანხმებით იმუშავებს საქართველოს შეერთებულ ქართველ—მოხელეთა კავშირთან.

შემდეგ საბჭოს დაარსებაზე თავისი აზრი გამოსთქვა კრების მდივანმა კ. ოდიშარიამ.

კრებამაც ხმის უმეტესობით გადასწყვიტა არჩეულ იქნეს ჯერ-ჯერობით 5 წევრიანი საბჭოს გამგეობა, რომლის წევრებად ხმის უმეტესობით აირჩიეს: 1) საქციზო სამმართველოს გამგე პლ. ჯვერდწითელი, 2) თანაშემწედ სპ. ბაქრაძე, 3) ამავე სამმართველოს მდივანი სვ. ღვთისავრიშვილი და ინსპექტორის უფროსი თანაშემწეები კ. ოდიშარია და პლ. საყვარელიძე.

Срахуб обдачусх сяадўфаба

# განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

**თბილისში მოვა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუადღ. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.


# კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9 11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ. სიფილ. 607—914 ... ლის) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იმხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 46 ს.

**ს. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტეოროლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 9, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი **ა. დ. ალექსიძე.**

# ნაფიცი ვექილი
# დ. ბ. კვირკელია

გადმოვიდა ტფილისს (გრიბოედოვის ქუჩა, 16). 10—7

**ახლად მოწყობილი სტამბა**

# ხელოვნება

**(ველიამინოვის ქუჩა № 20)**

**ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს.** გამოცდილ მუშათა ინიციატორობით საქმეებს ასრულებს: სწრაფად, პირნათლად და დიდათ დაკლებულ ფასებში.

# გერმანულ ენის გაკვეთილებს

ვაძლევ ხელმისაწვდომ ფასებში, თვითეულად ან ჯგუფობრივ, რუსულ ენის საშუალებით. მისამართი: მოსკოვის შესახვევი № 4, (ეზოდან), ბინა გ. ცხაკაიასი. ნახვა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

(3—3) გერმანელი ქალი ბაშფერისა.

**ექიმი**

# ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11.

ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—1536—50

**მედიცინის დოქტორი**

**ბერლინის უნივერსიტეტისა**

# გ. გ. მეგრაბიანცი

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**ქალ. ქუთაისში**

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

**ქირ. და ქალთა სნეულების**

# საავათმყოფო

**სამშობიარო განყოფილებ.**

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

**გაიხსნა**

# თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

# ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**

**ალექსანდრე დავითის ძის**

# კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**ექიმი**

# ა. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**

# სამკურნალო

**მომსვლელ ავადმყოფთათვის**

**ექიმ ი. გ. ბაქრაძე...ილის და დ. ... ნაზარბეგიანცის**

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები** მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

**დოქტორი მედიცინისა**

# კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

# ამიერ-კავკასიის ბანკი

# მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმად ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა საგანგებო საზოგადო კრების ამა წლის 14 იანვრის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა, ამიერ-კავკასიის ბანკი ადიდებს ძირითად თანხას **3,000,000 მანეთიდან 6,000,000 მანეთამდე 12,000 აქციათა მეორე გამოცემით,** თითო აქციის ოცდახუთ თუმნის ნორმალური ღირებულებით შემდეგი პირობით:

1) **გამოსაცემი ფასი** ამ აქციებისა დანიშნულია **300 მანეთი**—თითო აქციაზე, რომელი თანხაც სრულად უნდა გადახდილ იქნეს აქციაზე ხელის მოწერის დროს.

2) შემოსული ფულიდან: ოცდახუთი თუმანი ჩაირიცხება ძირითად თანხაში. ოთხი თუმანი სათადარიგო თანხაში და დანარჩენი ერთი თუმანი აქციის დასამზადებელ ხარჯებისა და მისი სალერბო გადასახადის ასანაზღაურებლად.

3) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა მეპატრონეთ: **ძველ აქციაზე დაეთმობათ თითო ახალი აქცია.**

4) მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა დაიწყება **1918 წლის 1 ოქტომბრიდან** ქვემოთ ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებში და გაგრძელდება: **ა) თბილისში,** ამიერ-კავკასიის ბანკში **1918 წლის 1 დეკემბრამდე ბ) ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სიღნაღში, გორში, ხონში, სენაკში, ყვირილაში, კავკავში** საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში და ბაქოში—**ნ. ჯაყელთან 1918 წლის 15 ნოემბრამდე.**

5) როდესაც ბანკის ახლანდელი აქციონერები დაკმაყოფილებული იქნებიან **თითო აქციით ყოველ ძველ აქციაზე,** გაუნაღდებელი აქციათა შეძენის უპირატესობა ენიჭებათ პირველი გამოცემის აქციების ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკვეთილი აქციათა ღირებულების პირველი ნახევარი შემოტანილი აქვთ და მეორე ნახევარი არ შემოიტანეს, რის გამოც დაეკარგათ აქციების შეძენის უფლება.

ამ პირებმა შესაფერი განცხადება და აქციათა ფასი უნდა წარუდგინონ მეოთხე მუხლში ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებს და პირს იქვე აღნიშნულ დროს განმავლობაში.

6) გაუნაღდებელი აქციები, მას შემდეგ, როდესაც 5-ე მუხლის თანახმად დაკმაყოფილებული იქნებიან ის პირნი, რომელთაც აქციათა შეძენის უფლება დაკარგული ქონდათ, განაწილდება პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეთა შორის; ამათ მე 4-ე მუხლში აღნიშნულ ვადაში უნდა განაცხადონ თუ რამდენი აქციის შეძენა სურთ მეორე გამოცემის პირობების თანახმად; თუ მათ მიერ მოთხოვნილი აქციათა საერთო რიცხვი აღემატება გაუნაღდებელი აქციათა რაოდენობას, იმ შემთხვევაში განცხადებების ძალით და პირველი გამოცემის წარმოდგენილ აქციების მიხედვით მოხდება აქციების შესაფერი განაწილება.

7) აქციებზე ხელის მოწერის დროს აქციონერები მოვალენი არიან თავიანთი დროებითი მოწმობები ცალკე განცხადებასთან წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

8) ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკარგული აქვთ პირველი გამოცემის აქციათა შეძენის უფლება და სურთ ისარგებლონ 5-ე მუხლში აღნიშნულ უფლებით აქციათა მეორე გამოცემის დროს, ვალდებულნი არიან საორგანიზაციო კომიტეტის „კვიტანცი“ები წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

9) ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ განცხადებებს მოწმობებით და „კვიტანცი“ებით და აღნიშნულ ვადაში სრულიად არ გადაიხდიან აქციათა ღირებულებას, მეორე გამოცემის აქციათა შეძენის უფლებას კარგვენ.

10) ახალი აქციონერები ბანკის **მოგებაში (დივიდენდი) იღებენ მონაწილეობას 1919 წლის პირველ იანვრიდან ისე,** როგორც პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეები.

11) აქციათა ფასების მიღებაში აქციონერებს მიეცემათ „კვიტანცი“ები, რომლებიც ხელის მოწერის გათავებისა და აქციათა განაწილების შემდეგ შეიცვლება ნამდვილი აქციებით.

**შენიშვნა:** ნამდვილი აქციები იბეჭდება საქართველოს რესპუბლიკის ექსპედიციაში და დამზადებული იქნებიან **1918 წლის 1-ლ ნოემბრისათვის.** 10—6


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.